საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-918

26/09/2019

ქ. თბილისი

„შპს „ტომარა“-ს სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მეორადი დამუშავება და შესაფუთი მასალის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №ი-14 ბრძანებისა და „შპს „ტომარა“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ბიგ ბეგი“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №ი-92 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სამინისტროს განცხადებით მომართა სს „რუსთავის აზოტის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2015 წელს შპს „ბიგ ბეგის“ სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მეორადი დამუშავება და შესაფუთი მასალის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ტომარას“ სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მეორადი დამუშავება და შესაფუთი მასალის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გაიცა №17 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2015 წელს კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე აღნიშნული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცა შპს „ბიგ ბეგს“.

სს „რუსთავის აზოტის“ მომართვაში აღნიშნულია, რომ 2017 წლიდან შპს „ბიგ ბეგი“ აღარ ახორციელებს საქმიანობას ქ. რუსთავში, მშვიდობის ქ. № 2-ში. აღნიშნულ მისამართზე განთავსებული ობიექტები წარმოადგენს სს „ე უ ინვესთმენთის“ საკუთრებას, რომელიც ამჟამად იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია სს „რუსთავის აზოტზე“. სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2018 წელს მოხდა რეორგანიზაცია, რომლის შედეგად მოხდა შპს „ბიგ ბეგის“ შერწყმა შპს „ანჩოვი ექსპორტთან“, რაც დასტურდება მეწარმეთა რეესტრის ამონაწერით.

სამინისტროს მიერ შპს „ანჩოვი ექსპორტს“ ეცნობა, რომ ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „ბიგ ბეგთან“ 2015 წელს დადებულ იჯარის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა და სს „რუსთავის აზოტის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მისი გაგრძელება არ მომხდარა, იგი ვეღარ განახორციელებს ქ. რუსთავში სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებას. შესაბამისად ეცნობა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში სამინისტროში წარმოედგინა საწარმოს ტერიტორიის საკუთრების ან სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის

არსებობის შემთხვევაში), რომელზეც გაცემული იყო შპს „ბიგ ბეგის“ სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მეორადი გადამუშავება და შესაფუთი მასალების წარმოება) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში, სამინისტრო კანონით დადგენილი წესით იმსჯელებდა ზემოაღნიშნული ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ანჩოვი ექსპორტმა“ სამინისტროში არ წარმოადგინა რაიმე სახის განმარტება ან დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებდა ზემოაღნიშნული ტერიტორიით სარგებლობის საკითხს და აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ტომარა“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ბიგ ბეგი“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №ი-92 ბრძანება. ასევე ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ტომარა“-ს სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მეორადი დამუშავება და შესაფუთი მასალის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №ი-14 ბრძანება, ვინაიდან სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა შპს „ტომარასგან“ უვადოდ საკუთრებაში იქნა გადაცემული სხვა პირზე და იგი აღარ არის უფლებამოსილი განახორციელოს ზემოაღნიშნული საქმიანობა. დღეის მდგომარეობით შპს „ტომარა“ ლიკვიდირებულია, რაც დასტურდება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ტომარა“-ს სახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი (პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების მეორადი დამუშავება და შესაფუთი მასალის წარმოება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის №ი-14 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ტომარა“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „ბიგ ბეგი“-ზე გადაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 თებერვლის №ი-92 ბრძანება;
3. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ანჩოვი ექსპორტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ანჩოვი ექსპორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი